ზა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: მთვარისა შერმადინი

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური / კლასი: დაწყებითი / VI კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა (მათ შორის სსსმ): 14 მოსწავლე

გაკვეთილის თემა: სულხან საბა ორბელიანის იგავები: ,,უკან მოდევნებული ლამპარი", ,,მოხერხებული არაბი" ,,ორი ძმა", ,,აქლემი და ვირი".

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ იგავური ტექსტების გაგება-გააზრება და მისი დედააზრის ამოცნობა; გაკვეთილის მიზანია, რომ განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში იგავური ტექსტების გაგება-გააზრებისა და იგავების დედააზრის ამოცნობის უნარების განვითარებას.

N	აქტივობის აღწერა	მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზებ ის ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო
1	მასწავლებელი ესალმება კლასს, შეახსენებს ქცევის წესებს, შეფასების რუბრიკებს, გააცნობს გაკვეთილის მიზანს.	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	ქცევის წესები, შეფასების რუბრიკები	2 წთ
2	შესასწავლი მასალიდან ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1.სულხან საბა ორბელიანის რომელი იგავ-არაკები შევისწავლეთ? 2.,,უკან მიდევნებულ ლამპარში" მეფის ხასიათის რომელ თავისებურებაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას? 3.თქვენთვის ნაცნობ კიდევ რომელ ნაწარმოებში იყო დახასიათებული მეფე ამგვარად? 4.დააკვირდით რა პირობა წაუყენა მეფემ თავის ვაჟს. 5.ახლა გაიხსენეთ როგორ არიგებდა როსტევანი თინათინს. შევადაროთ. 6.მეფის ვაჟი პირდაპირ კი არ ეუბნება მამას ცლებიო, არამედ უცნაური საქციელით, როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევა ვაჟი ასე? 7.როდის უფრო გააოცა არაბმა ხალიფა და მისი კარისკაცები - პირველად, როცა ცხენი გაიტაცა თუ მეორედ, როცა გატაცებული ცხენი უკან დააბრუნა? 8. რა არის თქვენი აზრით ამ იგავარაკის დედააზრი ანუ მთავარი სათქმელი? 9.გავიხსენოთ იგავი ,,ორი ძმა". რატომ გაუმრავლა ღმერთმა მეიგავის აზრით ძმებს საბადო? 10.რომელი ფრაზით არის გამოხატული იგავის სათქმელი? 11.გავიხსენოთ იგავი ,,აქლემი და ვირი". ამ არაკში აქლემისა და ვირის ამბავია მოთხრობილი. როგორ ფიქრობთ, რა უფრო მნიშვნელოვანია, ამბავი თუ დასკვნა, რომელიც ამ ამბიდან უნდა გამოვიტანოთ? 12.რას ან ვის განასახიერებს ამ არაკში გამოყვანილი ვირი? 13.თქვენი აზრით როგორია მეიგავის დამოკიდებულება ვირის მიმართ, რას კიცხავს საბა, საბრალო ცხოველს თუ მის მანკიერ თვისებას? 14.გაიხსენეთ ქართული ანდაზა, რომელიც ამ არაკში აღწერილ ამბავს მიესადაგება	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	ს.ს. ორბელიანის იგავ არაკების კრებული VI კლასის სახელმძღვანელო	10 წთ
3	მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, ვინ უკეთ მოყვება თავის საყვარელ იგავარაკს	ზეპირი გამოკითხვა	ინდივიდუალ	სახელმძღვანელო	5 წთ
4	მასწავლებელი კლასს გაყოფს ორ ჯგუფად და მოსწავლეებს დაურიგებს წინასწარ მომზადებულ ტესტებს; განუმარტავს დავალებას: ტესტებში ჩამოწერილია	წერითი	ჯგუფური	ტესტი	3 წთ

	ანდაზები და მოსწავლეებს ევალებათ მიუწერონ შესაბამისი იგავის სათაური. განუსაზღვრავს დროს.				
5	მასწავლებელი სვამს კითხვას: 1.გავიხსენოთ კიდევ რომელ საგანში შევისწავლეთ იგავები? 2.რომელ იგავს გაიხსენებდით რა არის ამ იგავის შეგონება? 3.ჩვენს მიერ შესწავლილ რომელ იგავთან გაავლებდით პარალელს?	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	საბავშვო ბიბლია	5 წთ
6	კლასს მასწავლებელი ყოფს ორ ჯგუფად, გაახსენებს მათ სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს. შემდეგ აძლევს მათ წინასწარ მომზადებულ ტესტს, სადაც სულხან-საბას შემოქმედებიდან იქნება ორ-ორი კითხვა. განუსაზღვრავს სამუშაო დროს.	წერითი პრეზენტაცია	ჯგუფური	ტესტი	5 წთ
7	მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს გაკვეთილს, ხაზს უსვამს იგავარაკის ეროვნულ ხასიათს, საიდან იღებს სათავეს, რამდენად აქტუალურია ეს თემა დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ამის შემდეგ ერთ- ერთ მოსწავლეს წააკითხებს წიგნში მოცემულ ინფორმაციას იგავ-არაკის შესახებ.	ვერბალური ახსნა, კითხვაპასუხი	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო	10 წთ.
8	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს თვითშეფასების კითხვარს და სთხოვს მათ შევსებას, რისთვისაც განუსაზღვრავს დროს, ასევე თვითონაც აფასებს მოსწავლეებს განმსაზღვრელი შეფასებით.	თვითშეფასება, ინდივიდუალ. შეფასება	საერთო საკლასო; ინდივიდუალ.	თვითშეფასების რუბრიკა	3 წთ.
9	მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებას: წაიკითხონ სხვა (არაპროგრამული) იგავ-არაკები და თვითონაც დაწერონ იგავი ნებისმიერ თემაზე.	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა"	2 წთ.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მოსწავლეები შეძლებენ იგავური ტექსტის გაგება-გააზრებას და იგავების დედააზრის ამოცნობას. გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში იგავური ტექსტის გაგება-გააზრებისა და იგავების დედააზრის ამოცნობის უნარების განვითარებას.

ხელმოწერა: ----------

თარიღი: 26.10.2018 წ.